



განათლება გაყოფ ხაზთან EDUCATION ALONG THE DIVIDING LINE

20 G. Galaktion Tabidze Street, 0105 Tbilisi, Georgia
Tel.: (+995 32) 2 93 50 88
E-mail: info@isnc.ge
www.isnc.ge



განათლება გამყოფ ხაზთან

განათლების ხელმისაწვდომობა საქართველოში გამყოფი ხაზის გასწვრივ
და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის

EDUCATION ALONG THE DIVIDING LINE

Accessibility of Education in Georgia for the Population
along the Dividing Line and in the Occupied Territories



Foreign &
Commonwealth
Office



ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტი
INSTITUTE FOR THE STUDY OF NATIONALISM AND CONFLICTS



კვლევა მომზადებულია დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტის - „სინერგია - დევნილთა გაძლიერება ჩართულობისა და თანამშრომლობის გზით“ - ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტისა და ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა პრობლემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის „სინერგიის“ მიერ.

დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტი და ქსელი „სინერგია“ და იგი არ გამოხატავს დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საელჩოს პოზიციას.

This document has been produced with the financial assistance of the Embassy of the United Kingdom of Great Britain and Northern Ireland in the framework of the project "Synergy - Empowering IDPs through Participation and Cooperation". The project is implemented by the Institute for the Study of Nationalism and Conflicts (ISNC) in partnership with the Synergy network - a group of nongovernmental organizations working on issues concerning internally displaced persons.

The contents of this document are the sole responsibility of the Institute for the Study of Nationalism and Conflicts (ISNC) and the Synergy network and can under no circumstances be regarded as reflecting the position of the Embassy of the United Kingdom of Great Britain and Northern Ireland.



Foreign &
Commonwealth
Office



ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტი
INSTITUTE FOR THE STUDY OF NATIONALISM AND CONFLICTS



შინაარსი

შესავალი	5
კვლევის მიზანი.....	5
მეთოდოლოგია.....	5
სახელმწიფო პოლიტიკა	6
აფხაზეთი	11
გალის რაიონი	11
აფხაზეთთან გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე სოფლები	16
სამხრეთ ოსეთი/ცხინვალის რეგიონი	18
სამხრეთ ოსეთთან/ცხინვალის რეგიონთან გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე სოფლები	18
ახალგორის რაიონი	19
დასკვნები და რეკომენდაციები	21
Conclusions and Recommendations.....	23



შესავალი

განათლების უფლება საქართველოს ყველა მოქალაქისათვის კონსტიტუციით არის გარანტირებული. მაგრამ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე განათლების თანაბარი ხარისხი და ხელმისაწვდომობა რეალურად უზრუნველყოფილი ვერ არის. ჩვენს მიერ შემოთავაზებული ანგარიში განიხილავს ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობას ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფისათვის. ეს არის ოკუპირებულ აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან/ცხინვალის რეგიონთან გამყოფი ხაზის გასწვრივ¹ და თავად ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ქართველი მოსახლეობა. ამ ჯგუფის შიგნით მნიშვნელოვან წილს, შესაბამისი კონფლიქტების შედეგად, ყველაზე მეტად დაზარალებული მოსახლეობა – დევნილები შეადგენენ. ანგარიში დიდწილად – მასწავლებლების, მშობლების და უფროსკლასელი მოსწავლეების ფოკუსური ჯგუფების ანალიზს ეყრდნობა. ამას გარდა, გაანალიზებულია არსებული ანგარიშები, კანონმდებლობა და სტატისტიკა.

ეს ანგარიში ჯერ მოკლედ განიხილავს კვლევის მიზნებს, მეთოდოლოგიას, აღწერს და აჯამებს ოკუპირებულ და მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების მიმართ საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკას განათლების მიმართულებით, აანალიზებს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გამყოფი ხაზის გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობის დისკუსიის შედეგებს და აქედან გამომდინარე, გვთავაზობს რეკომენდაციებს.

კვლევის მიზანი

კვლევა მიზნად ისახავს, პირველ რიგში, ინფორმაციის შეგროვებასა და გავრცელებას საქართველოში გამყოფი ხაზის გასწვრივ და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისათვის განათლების ხელმისაწვდომობაზე. ამ ტერიტორიებზე მცხოვრები მოქალაქეების ყოფაზე და პრობლემებზე დანარჩენი საქართველოს მოსახლეობას მწირი ინფორმაცია აქვს.



1. აქ, და ყველგან ტექსტში გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე ტერიტორიაში იგულისხმება საქართველოს მიერ კონტროლირებადი ტერიტორია.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლების შესაძლებლობა, ჩაერიოს ამ ტერიტორიების მოსახლეობის პრობლემების მოგვარებაში ძალზე შეზღუდულია, არსებობს გარკვეული ინსტრუმენტები, რომლის გამოყენებასაც მთავრობა ახერხებს. ამ ინსტრუმენტების დახვეწაში და, შესაძლოა, ახალი ინსტრუმენტებისა და პროგრამების ამოქმედებისათვის უმნიშვნელოვანესია უშუალოდ ამ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისაგან მოპოვებული სწორი და მდიდარი ინფორმაცია. ამიტომაც, ჩვენ იმედი გვაქვს, ეს ანგარიში დაეხმარება როგორც საქართველოს მთავრობას, ისე ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს, უკეთ დაინახონ პრობლემები და საჭიროებები, შესაბამისად დაგეგმონ და განახორციელონ თავიანთი პროგრამები გამყოფი ხაზის გასწვრივ და მის მიღმა მცხოვრები მოსახლეობისათვის.

ამ ტერიტორიებზე მცხოვრებთათვის უსაფრთხოება ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა; მაგრამ ყველა ვითარებაში ადამიანების დიდი უმრავლესობისათვის მნიშვნელოვანია, რომ მათმა შვილებმა ხარისხიანი განათლება მიიღონ და ამით შეძლონ უკეთესი მომავლის შექმნა. კვლევის ფოკუსირების მიზანი განათლებაზე სწორედ ამაში მდგომარეობს.

მეთოდოლოგია

კვლევის ძირითადი მასალა ფოკუსური ჯგუფების საშუალებით შეგროვდა. ამისათვის შეიქმნა სპეციალური გზამკვლევი, რომელიც ქსელის წევრებთან დეტალურად იქნა განხილული. დისკუსიების მოდერაციას უშუალოდ ქსელ „სინერგია“-ს წევრები ახდენდნენ, რომელთაც, როგორც დისკუსიის მართვის, ისე დისკუსიის მონაწილეთა შერჩევის საკითხებზე სპეციალური ტრენინგი და ინსტრუქტაჟი ჩაუტარდათ. საქართველოს მთავრობის მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიებზე, გალსა და ახალგორში დისკუსიების გამართვა მაღალი რისკის შემცველი იყო, რასაც, სავარაუდოდ, შესაძლებელი იყო, რომ მონაწილეთა მოზიდვაზე და შერჩევაზე ემოქმედა. მაგრამ ამ შეზღუდვის მიუხედავად, დისკუსიებით მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება შეუძელით. დისკუსიები ძირითადად 2014 წლის ნოემბერში გაიმართა და მოიცვა სამი ჯგუფი – მასწავლებლები, მშობლები და უფროსკლასელები. სამიზნე ჯგუფთან ჩვენ სულ ჩავატარეთ 13 დისკუსია და 7 ინტერვიუ. ფოკუს ჯგუფებიდან 6 ჩატარდა გალის რაიონში, 3 – აფხაზეთთან გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე ტერიტორიაზე, 3 – სამხრეთ ოსეთთან / ცხინვალის

რეგიონთან გამყოფი ხაზის გასწვრივ და 1 – საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე აფხაზეთიდან გადმოსულ მოსწავლეებთან. ინტერვიუებიდან 3 ჩატარდა ახალგორში, 4 აფხაზეთთან გამყოფ ხაზთან. ამას გარდა, ჩატარდა 4 საექსპერტო ინტერვიუ სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან.

კვლევისათვის სამიზნე მოსახლეობის სუბიექტური შეფასებებისა და გამოცდილების გარდა, გავანალიზეთ საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობა, გამოვითხოვეთ ოფიციალური სტატისტიკა, ჩავატარეთ ინტერვიუები სახელმწიფო მოხელეებთან და გავანალიზეთ ამ თემაზე გამოქვეყნებული ანალიტიკური და საინფორმაციო სახის მასალები.

სახელმწიფო პოლიტიკა

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ტერიტორიებს საქართველოს სახელმწიფო ოც წელიწადზე მეტია ვერ აკონტროლებს, იქ მცხოვრებ ქართულ მოსახლეობასთან კონტაქტი დღემდე არ გაწყვეტილა. საქართველოს მთავრობას, განსაკუთრებით განათლების მიმართულებით, აქვს პროგრამები, რომლებიც ქართულ მოსახლეობაში ენის და იდენტობის შენარჩუნებას ემსახურება. გალის მიმართ ყურადღება იმით იყო და არის განპირობებული, რომ ამ რაიონში მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ქართველები არიან. ამ მხრივ თავდაპირველად გალის რაიონის მიმართულებით დაიწყო აქტიურობა და აქ თავიდანვე იყო ქართული მხარის ჩართულობა ომის შემდგომ განადგურებული თუ დაზიანებული სასკოლო ინფრასტრუქტურის აღდგენაში.²

ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკის მთავარი დოკუმენტია 2010 წელს მიღებული სტრატეგია „ჩართულობა თანამშრომლობის გზით“³ და მისი სამოქმედო გეგმა.⁴ სტრატეგიაში სხვა მიმართულებებთან ერთად, განათლების საკითხებზეც არის აქცენტი გაკეთებული. ამ დოკუმენტებით ცხადია, რომ სახელმწიფო მშობლიურ ენაზე სწავლების მნიშვნელობას პრიორიტეტად

2. ინტერვიუ გალის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის ხელმძღვანელთან ნონა შონიასთან.

3. ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ სახელმწიფო სტრატეგია „ჩართულობა თანამშრომლობის გზით“ <http://www.smr.gov.ge/docs/doc211.pdf>

4. ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა <http://www.smr.gov.ge/docs/doc223.pdf>

ალიარებს და მნიშვნელოვნად მიიჩნევს როგორც ქართულენოვანი, ისე აფხაზურ და ოსურენოვანი მოსახლეობისათვის სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობაზე ზრუნვას. ამას გარდა, სამოქმედო გეგმაში საუბარია განათლების ხარისხის გაუმჯობესების კონკრეტულ მექანიზმებზეც – მაგალითად, პირველ-კლასელთათვის პერსონალური კომპიუტერების გადაცემასა და ოკუპირებულ რეგიონებში ინგლისური ენის მასწავლებლების შეყვანაზე, პროგრამის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“–ის ფარგლებში. მაგრამ აშკარაა, რომ დოკუმენტების მიღებიდან თითქმის ხუთი წლის თავზე, ხელშესახები შედეგები არ დამდგარა.

2001 წლიდან გალის რაიონის ქართული სკოლების მასწავლებლებისათვის სახელმწიფო „ოკუპირებული რეგიონების პედაგოგებისა და ტექნიკური პერსონალის სოციალური დახმარების პროგრამის“ ფარგლებში დახმარებას გამოყოფს, რომელიც კვარტალურად გაიცემა და პედაგოგზე 600 ლარს შეადგენს. 2008 წლიდან ეს დახმარება ვრცელდება ახალგორის ქართული სკოლების მასწავლებლებზეც. რაც შეეხება ხელფასს, ყველა ეს მასწავლებლები შესაბამის ანაზღაურებას აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დეფაქტო ადმინისტრაციებიდან იღებენ. ქართული მხარის მიერ გაღებული თანხა კი სოციალურ და სიმბოლურ ხასიათს უფრო ატარებს.

სოციალური დახმარების გარდა, ქართული მხარე ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ქართველ მასწავლებლებს შეძლებისდაგვარად ტრენინგებით და სახელმძღვანელოებითაც ეხმარება. თუმცა, ეს მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული კონკრეტულ რეგიონში დროის მოცემულ მონაკვეთში არსებულ სიტუაციაზე.

მასწავლებლების დახმარებასთან ერთად, საქართველოს მხრიდან იდგმება ნაბიჯები, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ქართველი მოსახლეობა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეს არ მოსწყდეს და უმაღლესი განათლების მისაღებად ქართული უნივერსიტეტები აირჩიოს. მაგრამ, უსაფრთხოების სიტუაციასთან დაკავშირებული პრობლემების გარდა, განსაკუთრებულ სირთულეს ის გარემოება ქმნის, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი რუსული საგანმანათლებლო სივრცის ნაწილია. შესაბამისად, მათი სასწავლო პროგრამა, სახელმძღვანელოები და მეთოდოლოგია ქართულისგან განსხვავებულია. ასევე განსხვავებულია ზოგად-საგანმანათლებლო ეტაპზე სწავლის ხანგრძლივობაც: საქართველოში სკოლა 12 წლიანია, ოკუპირებულ ტერიტორიაზე კი ის 11 წელს მოიცავს. ეს განსხვავებები ართულებს ოკუპირებულ ტერიტო-

რიაზე მცხოვრები მოსწავლეებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით დაძლევისა, რაც ქართულ აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელების აუცილებელი პირობაა. სწავლის ხანგრძლივობაში განსხვავების მიუხედავად, საქართველოს მხრიდან დადგენილია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე გაცემული ატესტატის ალიარების პროცედურა. მსურველთათვის ეს ალიარება დიდ სირთულეს არ ქმნის. განსაკუთრებული სირთულე, პირველ რიგში, ენისა და პროგრამების განსხვავებულ სწავლებასია.

ამიტომაც, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ქართულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოებისათვის 2007 წლიდან ოკუპირებულ ტერიტორიაზე - გალში, რესურს-ცენტრი მუშაობს. ცენტრი თბილისში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს დაქვემდებარების ქვეშ ფუნქციონირებს, მაგრამ რამდენიმე თანამშრომელი ჰყავთ ზუგდიდშიც. სხვა საქმიანობასთან ერთად, რამდენიმე წლის განმავლობაში ზუგდიდში რესურს ცენტრი აფხაზეთიდან გადმოსული მოსწავლეებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელ კლასებსაც უზრუნველყოფდა. თუმცა, გამყოფი ხაზის გადმოლაზვის კიდევ უფრო გართულების გამო, 2014 წელს ეს კლასები გაუქმდა და ამისათვის გალის რაიონის ტერიტორიაზე 4 მოსამზადებელი ცენტრი შეიქმნა. ამ ცენტრებში გალის რაიონის ქართველი მასწავლებლები მოსწავლეებს გამოცდებისათვის მომზადებაში თავად ეხმარებიან. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო კი გალის ქართველ მასწავლებლებს გადამზადების კურსებს ზუგდიდის ტერიტორიაზე უტარებს.

რაც შეეხება სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ოკუპირებულ ტერიტორიას, 2007 წელს შექმნილი სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია განათლების მიმართულებაზეც მუშაობს და ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელ რამდენიმეთვიან კურსებსაც⁵ აფინანსებს, რომლებიც სამხრეთ ოსეთიდან დევნილი მოსწავლეებისთვისაა განკუთვნილი. ახალგორის რაიონში, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, მსგავსი ღონისძიებები არ ხორციელდება. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გალის რაიონისაგან განსხვავებით, ახალგორში მოსწავლეებისა და მასწავლებლების ძალიან მცირე რაოდენობაა. როგორც ჩვენთან საუბარში სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის განათლების სამსახურის უფროსმა სოსო ცოტნი-

5. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია, 18 მარტი, 2014 – განცხადება – დევნილი სტუდენტების მომზადება ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის <http://soa.gov.ge/geo/gancxadeba-devnili-studentebis-momzadeba-ertianierovnuli-gamocdistvis-2938/>

აშვილმა აღნიშნა, 2008 წლის შემდეგ ვინც წამოსვლა შეძლო, რაიონი დატოვა და საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე - წეროვანში გადმოვიდა (აქ იგულისხმება როგორც მოსწავლეები, ასევე მასწავლებლები), მათ გაცილებით უფრო უკეთესი განათლების მიღების საშუალება მიეცათ. ახალგორის რაიონში კი განათლების დონე იმდენად დაბალია, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვას მხოლოდ ერთეულები თუ ახერხებენ.

ქართული მოსახლეობის მოზიდვისა და ხელშეწყობის მიზნით სოციალური პროგრამის ფარგლებში საქართველოს მთავრობა ოკუპირებული ტერიტორიების სკოლების კურსდამთავრებულთა სწავლის ქირას, თუკი ისინი ერთიან ეროვნულ გამოცდებს წარმატებით გაივლიან და სასწავლებელში ჩაირიცხებიან, სრულად აფინანსებს. ამისათვის 2014 წელს საბიუჯეტო სახსრები 170 სტუდენტის დაფინანსებისათვის გამოიყო, რომელთაგან 90 ადგილი – აფხაზეთის ტერიტორიაზე კურსდამთავრებულთათვის, 75 – სამხრეთ ოსეთის და 5 – სოფელ პერევის სკოლის კურსდამთავრებულთათვის არის განკუთვნილი.⁶ აღსანიშნავია, რომ გრანტის მაქსიმალური თანხა არის 2250 ლარი, რაც სახელმწიფო უნივერსიტეტებში სწავლის გადასახადის ზედა ზღვარია. თუმცა, კერძო უნივერსიტეტებში ჩაბარების შემთხვევაში, ეს 100%-იანი გრანტი ვერ უზრუნველყოფს სწავლის გადასახადის სრულად დაფარვას.

აღსანიშნავია, რომ 2014 წელს სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსება შეეხო არა მხოლოდ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ზოგადგანათლება მიღებულ სტუდენტებს, არამედ იმ სტუდენტებსაც, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ოკუპირებული ტერიტორიის გამყოფი ხაზის გასწვრივ სოფლებში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში⁷ მიიღეს. ასეთი სტუდენტებისათვის 50 ერთეული 100%-იანი გრანტი გამოიყო, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების რანჟირებული ქულების მიხედვით გაიცემა.

სოციალური პროგრამა მხოლოდ ოკუპირებულ ტერიტორიებზე კურსდამთავრებულებს არ შეეხება, იგი, სხვა მოწყვლად ჯგუფებთან ერთად, ეთნიკური უმცირესობების ხელშეწყობასაც ითვალისწინებს. აქვე აღსანიშნავი არის სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი მოქალაქეებისათვის განკუთვნილი დამატებითი დახმარებაც.⁸ მათთვის სავალდებულოა მშობლიურ ენაზე მხოლოდ ზოგადი უნარების გამოცდის ჩაბარება, რის შემდეგაც, ერთი წლის განმავლობაში, ეთნიკურად სომეხ და აზერბაიჯანელ სტუდენტებს ქართულ ენაში მომზადება შეუძლიათ, რომ ქართულენოვანი ბაკალავრიატის პროგრამის დამლევა შესძლონ. ერთი წლის შემდეგ კი სტუდენტები მათ მიერ არჩეულ ფაკულტეტზე აგრძელებენ ბაკალავრიატში სწავლას. მათთვის სახელმწიფო გრანტიც მხოლოდ ზოგადი უნარების გამოცდაზე მიღებული ქულებით განისაზღვრება.

ამ პროგრამაში მონაწილეობა ეთნიკურად აფხაზ აბიტურიენტებს / სტუდენტებსაც შეუძლიათ,⁹ რომლებიც ჩააბარებენ ზოგადი უნარების გამოცდებს. მაგრამ, ასეთი მოდელი ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ქართველ მოსახლეობაზე არ ვრცელდება, რადგან მათ, როგორც წესი, აფხაზური ენა სათანადოდ არ იციან. ამავდროულად, მათ ხელოვნურად უზღუდავენ მშობლიურ ქართულ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობას. არსებული ვითარების გამო ეროვნულ გამოცდებზე ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები სკოლადამთავრებული ქართველი მოსწავლეები საქართველოს სხვა ტერიტორიაზე სკოლადამთავრებულებთან მიმართებაში არათანაბარ კონკურენტულ ვითარებაში ხვდებიან. რაც მათ კიდევ უფრო არახელსაყრელ გარემოს უქმნის.

მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო თავად აღიარებს, რომ ოკუპირებულ გალში ზოგადი განათლების მიღების შემდეგ იქაური მოსწავლეები ეროვნულ გამოცდებში კონკურენტუნარიანები არ არიან და შესაბამისად, მეტი ჩარევა და დახმარებაა საჭირო. „მათ მიერ ნაჩვენები შედეგები და იმ ფაკულტეტების ანალიზი, რომლებზეც აღნიშნული კონტინგენტი ირიცხება, ცხადყოფს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსწავლეები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, რეალური კონკურენცია გაუწიონ ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილე სხვა

6. საქართველოს მთავრობის დადგენილება #501 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ, 18 აგვისტო, 2014 წ.

7. საქართველოს მთავრობის დადგენილება #501, მუხლი 3, ლ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო,

8. 17.02.2012 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ეროვნულ გამოცდებზე <http://www.mes.gov.ge/content.php?id=3786&lang=geo>

9. სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი <http://tolerantoba.ge/index.php?id=1314971931>

აბიტურიენტებს.¹⁰ სწორედ ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად ფუნქციონირებს, აწ უკვე გალში (და წარსულში – ზუგდიდში), მოსწავლეთა მოსამზადებელი ცენტრები, მაგრამ, როგორც ჩვენი კვლევიდან გამოჩნდა, მათი ეფექტი დიდი არ არის.

ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, ოკუპირებულ ტერიტორიაზე კურსდამთავრებულთაგან, რომლებიც ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობენ, საკმაოდ ბევრი ახერხებს მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვას. მათთვის სოციალური პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი დახმარების პირობებში კი, უმრავლესობა შეძლებს ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელებას. თუმცა, ცხადია, არანაკლებ მნიშვნე-

ლოვანია, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი მოსწავლეების რაოდენობის რა წილი არჩევს ქართულ გამოცდებში მონაწილეობას. ამ მხრივ ზუსტი მონაცემები ჩვენ არ გვაქვს. რამდენიმე წყაროდან მოპოვებული ინფორმაცია ერთმანეთს და ქართულ ოფიციალურ სტატისტიკას სრულად არ ემთხვევა, მაგრამ კარგ წარმოდგენას მაინც გვიქმნის ზოგად სურათზე. ჩვენს მიერ ორი წყაროდან მიღებული ინფორმაციით, გალის რაიონში კურსდამთავრებულთაგან, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში აგრძელებენ სწავლას, დაახლოებით ნახევარი რეგისტრირდება ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, დანარჩენი კი რუსულ ან აფხაზურ სასწავლებლებში მიდის ან არ აგრძელებს სწავლას.

ცხრილი #1. გალის რაიონის კურსდამთავრებულთა მონაწილეობა ერთიან ეროვნულ გამოცდებში

წელი	რეგისტრაციის რაოდენობა	მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება	პროცენტი
2005	152	64	42%
2006	155	54	35%
2007	154	20	13%
2008	296	222	75%
2009	150	89	59%
2010	188	87	46%
2011	188	117	94%
2012	138	62	45%
2013	128	52	41%
2014	131	72	55%

წყარო: შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

ახალგორის რაიონში გალთან შედარებით ნაკლები მოსახლეობაა და სულ 7 სკოლა ფუნქციონირებს, მათგან 6 ქართული და ერთი რუსულია. ჩვენი მონაცემებით, ამ სკოლებში დამამთავრებელი კლასის მოსწავლეთა რაოდენობა 150-ს არ აღემატება. გალის

მსგავსად ახალგორის სკოლებიც რუსულ საგანმანათლებლო სივრცეშია მოქცეული. მაგრამ იმის გამო, რომ მოსწავლეებმა რუსული ენა ცუდად იციან, უმაღლესი განათლების მისაღებად დიდი უმრავლესობა ქართულ უმაღლეს სასწავლებლებს ირჩევს.

ცხრილი #2. ახალგორის რაიონის კურსდამთავრებულთა მონაწილეობა ერთიან ეროვნულ გამოცდებში

წელი	რეგისტრაციის რაოდენობა	მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება	პროცენტი
2011	84	64	76%
2012	69	44	64%
2013	114	74	65%
2014	101	38	38%

წყარო: შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

10. საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო, 2014. გალის რაიონის პედაგოგების გადამზადების და აბიტურიენტების ეროვნული გამოცდებისათვის მომზადების ქვეპროგრამა. ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამები, პროგრამული კოდი 32.02

აფხაზეთი

აფხაზეთის მიმართულებით კვლევა ჩატარდა როგორც საქართველოს მიერ კონტროლირებად გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე სოფლების ტერიტორიაზე, ასევე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ კონტროლირებად გალის რაიონშიც, იქ მცხოვრებ ქართულ მოსახლეობასთანაც. გალის მიმართულებით კვლევა ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა რამდენიმე მიზეზის გამო. პირველ რიგში, ზოგადად აფხაზეთში და მათ შორის გალის რაიონში მიმდინარე პროცესებზე და ცხოვრებაზე საქართველოს მოსახლეობას ძალიან მწირი

ინფორმაცია აქვს. გამომდინარე იქიდან, რომ გალში მოსახლეობის დიდ ნაწილს ეთნიკური ქართველები შეადგენენ, ეს ინფორმაცია განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს როგორც მოსახლეობისათვის, ისე სამთავრობო და არასამთავრობო წრეებისათვის. მეორეც, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება გალს ვერ აკონტროლებს, ცდილობს რომ განათლების საკითხებზე ადგილობრივ ქართულ მოსახლეობასთან კონტაქტი არ იყოს გაწყვეტილი. ამ მიზნით, როგორც ზემოთაც აღინიშნა, გარკვეული საბიუჯეტო სახსრებიცაა გამოყოფილი.



გალის რაიონი

გალის რაიონში 31 სკოლაა, საიდანაც 11 სკოლა ქართულად ითვლება. ეს სკოლები ეთნიკურად ქართველებით დასახლებულ ტერიტორიაზეა და როგორც წესი, მათი მოსწავლეები თითქმის სრულად ქართველები არიან. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსულ და აფხაზურენოვან სკოლებთან ერთად ფუნქციონირებს სომხურენოვანი სკოლებიც. აფხაზეთის კონფლიქტის მერეც, „ქართულ“ სკოლებში თავდაპირველად სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, მაგრამ 2006 წლიდან სიტუაცია

მკვეთრად შეიცვალა და სკოლებზე და მასწავლებლებზე წნეხი გაძლიერდა, რომ სწავლების ენა რუსული გამხდარიყო.¹¹ ამ დროისათვის, გალის მთელ ტერიტორიაზე სკოლაში სწავლების ენა რუსულია. ქართული ისწავლება როგორც საგანი, ისიც შეზღუდულად. თუმცა, გრძელვადიან პერიოდში რთული სათქმელია, ქართული ენის სწავლების პერსპექტივა რა იქნება.

11. ეკა გულუა, გალის რაიონის ქართულ სკოლებში ქართულად სწავლას კრძალავენ 03.05.2006, პორტალი ადამიანის უფლებათა შესახებ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=6116&lang=geo>

გალის რაიონში ექვსი ფოკუსური ჯგუფის ჩატარება მოხერხდა – ორი მასწავლებლებთან, ორი მშობლებთან და ორი უფროსკლასელებთან. თემის სენსიტიურობიდან გამომდინარე და იმისათვის, რომ ფოკუს ჯგუფში მონაწილეთა უსაფრთხოება რისკის წინაშე არ დავაყენოთ, თავს ვიკავებთ დისკუსიების ჩატარების ადგილების დაკონკრეტებისაგან.

გალის რაიონში დისკუსიების მონაწილეები ძირითადად მიიჩნევენ, რომ მათთან სასკოლო განათლების ხარისხი ნორმალურია. სამივე ჯგუფის მიერ არაერთხელ გამოითქვა მოსაზრება, რომ თუ ბავშვს სწავლა უნდა, ის ამას აუცილებლად შეძლებს და ამაში მასწავლებლები დაეხმარებიან, თუნდაც უსასყიდლოდ, დამატებითი ყურადღებითა და მეცადინეობით. მაგრამ, როცა მათ კვითხეთ გამოეთქვათ აზრი იმის შესახებ, თუ მათთვის ხელმისაწვდომი განათლების ხარისხი რამდენად შეესაბამება დანარჩენი საქართველოს სკოლებში არსებულ ხარისხს, თითქმის ყველა შემთხვევაში, ქართული სასკოლო განათლება უფრო ხარისხიანად იქნა მიჩნეული. ამის მიზეზად, პირველ რიგში, სწავლების ახალი მიდგომების და მეთოდების გამოყენება და მათით მასწავლებლების გადამზადება დასახელდა. ამას გარდა, ხაზი გაესვა იმას, რომ საქართველო, ზოგადად, უფრო ღიაა და ევროპულად არის ორიენტირებული.

სწავლის ხარისხთან დაკავშირებით განსაკუთრებით პრობლემურად ენების საკითხი გამოიკვეთა. როგორც მასწავლებლების, ისე მშობლების დისკუსიებში ხშირად გაესვა ხაზი იმას, რომ რუსულ ენაზე სწავლაც და სწავლებაც ძალიან უჭირს ქართულ მოსახლეობას. გალის „ქართულ“ სკოლებში მასწავლებელთა უმეტესება არ შეცვლილა და ძირითადად ეთნიკური ქართველები არიან, რომელთაც თავის დროზე განათლება ქართულად აქვთ მიღებული. ბევრი მათგანი აცხადებს, რომ რუსულ ენას საკმაოდ კარგად ფლობს, მაგრამ მაინც უჭირს საგნების უცხო ენაზე სწავლება. ქართული ენის გამოყენების აკრძალვის გამო კი ისინი იძულებულნი არიან მასალაში არსებული განსაკუთრებული სიძნელეები მოსწავლეებს, მალულად, ჩურჩულით ქართულ ენაზე აუხსნან.

მასწავლებელთა მიერ ცოდნის მიწოდების გარდა, პრობლემა მდგომარეობს ბავშვების მიერ რუსული ენის არცოდნასა თუ სათანადოდ არცოდნაში. ყველა ჯგუფში აღინიშნა, რომ გალის ქართველი ბავშვები განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში არიან იმის გამო, რომ შინ მეგრულად ან ქართულად საუბრობენ, სკოლაში კი ყველა საგანს რუსულად ასწავლიან და

უცხო ენებთან ერთად აფხაზურ ენასაც სწავლობენ. შედეგად, სრულყოფილად ვერც ერთ ენას ვერ ფლობენ. რადგან სკოლის სახელმძღვანელოები აფხაზეთში რუსეთიდან შემოდის (რამდენიმე მონაწილემ აღნიშნა რომ „მოსკოვი აგზავნის“ ან „ლუჟკოვმა გამოუგზავნა“) და რუსი მოსწავლეებისთვისაა გათვლილი, ქართველ მოსწავლეებს ძალიან უჭირთ თითქმის უცნობ ენაზე საგნების სწავლა. ამის გამო მოსწავლეები, ხშირ შემთხვევაში, შინაარსის გაგების გარეშე დავალებას იხეპირებენ. ფოკუსჯგუფების მონაწილეთა თქმით, ეს განსაკუთრებით იმ შემთხვევებში ხდება, როცა ოჯახში ბავშვს სწავლაში ვერაგინ ვერ ეხმარება. მშობლების ჩაურთველობის მიზეზად კი ძირითადად ოჯახების სოციალურ პრობლემები და მათ არასათანადო განათლება სახელდება.

„აქ ის ფაქტორიც არის, რომ მშობლებიც ვერ ეხმარებიან ბავშვებს, იმიტომ რომ თვითონ მშობლებმა არ იციან. ახლა, ელემენტარული რომ ვთქვათ, პირველ-მესამე კლასელ ბავშვს აძლევენ სახლში ერთ კუპლეთიან ლექსს. მშობელი მოდის და გეკითხება, რას ნიშნავს ეს ლექსი. არადა ეს არის რაღაც პრიმიტიული ლექსი. არ ესმის მშობელს, ომის დროს სკოლა არ დაუმთავრებია, ადრე გათხოვდა, განათლება არა აქვს ელემენტარული, რომ ის მათემატიკა და რუსული რუსულად ასწავლოს. თვითონ არ შეუძლია, ბავშვს გაკვეთილი ესმის მარტო სკოლაში, უმეტესობას სახლში არა აქვს დახმარება და ამიტომ არის, რომ მეორე დღეს ბავშვი უსწავლელი მოდის სკოლაში.“

(მასწავლებელი, მდედრობითი, გალი)

ამიტომაც, დისკუსიისას აღინიშნა, რომ გალის ამ სკოლებისათვის რუსული სკოლებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოები არ გამოდგება და სხვა ლიტერატურაა საჭირო. თუმცა, ისიც რამდენჯერმე აღინიშნა, რომ სიდუხჭირის გამო, მშობლები ხშირად ვერც ახერხებენ ბავშვებისათვის წიგნების ყიდვას. ამიტომაც მოსწავლეებს ხშირად არა აქვთ საკმარისი წიგნები და მასწავლებლების მოკლე ახსნა-განმარტებით, ან წიგნების ასლების გადაღებით გადიან ფონს. თუმცა, მეორეს მხრივ, მონაწილეები იმასაც აღნიშნავენ, რომ რუსულის გამო განათლების ვერმიღების პრობლემა უნივერსალური არაა და ბევრი მოსწავლე ძალიან კარგად ფლობს რუსულ ენას.

„გვყავს ისეთი ბავშვებიც, რომლებმაც იქით ჩააბარეს (იგულისხმება რუსეთში) და მადლობის ბარათებიც მოგვსვლია“

(მასწავლებელი, მდედრობითი, გალი.)

მონაწილეთა მხრიდან აგრეთვე აღინიშნა, რომ ზოგიერთების მიერ რუსული ენის ცოდნის მიუხედავად, როგორც მასწავლებლები, ისე მშობლები და მოსწავლეები დიდად წუხან იმის გამო, რომ წლეწადელი სასწავლო წლიდან ქართულ ენას სკოლის პროგრამაში ადრინდელი 3 საათის ნაცვლად, მხოლოდ 2 საათი ეთმობა. ძირითადი წუხილი და შიში ისაა, რომ აფხაზეთის მთავრობა ამით არ დაკმაყოფილდება და სკოლებში, ეტაპობრივად, საერთოდ ამოიღებს ქართული ენის სწავლებას. ამ მოსაზრებას ამყარებს ინიციატივა, რომ სკოლისათვის მოსამზადებელი რუსულენოვანი კლასები გაიხსნას. ამ ინიციატივის განხორციელება ერთის მხრივ ბავშვებს რუსული ენის ათვისებაში და შემდგომში სკოლის პროგრამის დაძლევაში დაეხმარება, მაგრამ, მეორეს მხრივ, შესაძლოა, ქართულ ენაზე მოთხოვნა კიდევ უფრო შეამციროს.

განსაკუთრებით მშობლების მხრიდან გამოითქვა წუხილი ინგლისურ ენასთან დაკავშირებით, რაც გარკვეულწილად რუსულ სახელმძღვანელოებსაც უკავშირდება. აფხაზეთში ინგლისური ენის სწავლება მეხუთე კლასიდან იწყება, მაშინ როცა რუსეთში – მეორედან. ამიტომ, რუსეთის სკოლების მეხუთე კლასის სახელმძღვანელო აფხაზეთის სკოლების მოსწავლეებისთვის დაუძლეველი პრობლემა შეიძლება იყოს. მშობლების დიდი ნაწილი, შვილებისათვის განსაკუთრებით ხარისხიანი უმაღლესი განათლების მისაღებად, აცნობიერებს უცხო ენების მნიშვნელობას. ეს პრობლემა მოსწავლეების მიერაც იყო ხაზგასმული. მათი აზრით, დანარჩენ საქართველოში უცხო ენების სწავლებას გაცილებით უფრო მეტი ყურადღება ექცევა და გაცილებით მაღალ დონეზეა, მათ შორის უცხოელი მასწავლებლების ჩამოყვანის ხარჯზეც, რაც ბავშვებს საშუალებას აძლევს, თავისუფლად იმეტყველონ ინგლისურად.

ინფრასტრუქტურა გალის ბევრ სკოლაში პრობლემურია. როგორც მონაწილეები ამბობენ, სკოლების უმეტესობაში ხარისხიანი ბიბლიოთეკა არ არის, ისევე როგორც ლაბორატორიები და თუნდაც სპორტული ინფრასტრუქტურა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა სკოლის წარმომადგენელი მონაწილე სხვადასხვაგვარად აფასებდა ინფრასტრუქტურის მდგომარეობას. თუ ზოგიერთი სკოლის შემთხვევაში ძირითადი საშუალებები მაინც არსებობდა, ზოგ სკოლაში, მონაწილეთა გადმოცემით, გაცილებით უფრო მძიმე სიტუაციაა. ერთ-ერთი მასწავლებლის თქმით,

„სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, ფიზკულტურისთვის ბურთი რომ ჰქონდეთ, ბავშვები ფულს აგროვებენ,“
(მასწავლებელი, მამრობითი, გალი).

ზოგადად ინფრასტრუქტურის მოწესრიგების საკითხი გალში, როგორც ჩანს, ძირითადად საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების და მშობლების ფინანსური მონაწილეობით გვარდება. ამ მხრივ, ერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ ბოლო ერთი-ორი წლის განმავლობაში დონორების აქტიურობამ იკლო, რაც, სხვა მიზეზებს შორის, შესაძლოა, უკრაინაში არსებული მდგომარეობით და იქაურ პრობლემებზე მათი გადართვით იყოს გამოწვეული.

სკოლის შემდგომ განათლებასთან დაკავშირებით საუბრისას გამოიკვეთა, რომ გალის მაცხოვრებლები კარგად არიან ინფორმირებული საქართველოში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებისა და პროცედურების შესახებ. ყველამ იცის, რომ გალში სკოლადამთავრებულთათვის, ერთიანი ეროვნული გამოცდების მინიმალური კომპეტენციის გადალახვის შემთხვევაში, 100%-იანი სახელმწიფო გრანტი გარანტირებულია. ეროვნული გამოცდების პროცედურების შესახებ ინფორმაცია, ყველა ჯგუფის განმარტებით, ხელმისაწვდომია, ყველაზე ადვილად და უსაფრთხოდ – ინტერნეტის საშუალებით. თუმცა, სკოლაში მოსწავლეები მასწავლებლებისგანაც იღებენ ინფორმაციას.

ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მომზადება, ყველა ჯგუფის აზრით, გალელი მოსწავლეებისათვის შესაძლებელია, თუმცა რამდენიმე მწვავე პრობლემა იკვეთება.

პირველ რიგში, პრობლემაა ქართული ენის არასათანადო ცოდნა. რუსულენოვანი სწავლების პირობებში, განსაკუთრებით მაშინ, როცა ქართულენოვანი წიგნების შეტანა აფხაზეთის ტერიტორიაზე ძალიან რთულია, მოსწავლეებისთვის გამოცდებისთვის წარმატებით მომზადება ძნელია.

სხვა სასკოლო საგნების გარდა, ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის ზოგადი უნარების გამოცდის ჩაბარებაცაა აუცილებელი, რაც აფხაზეთში უცხო ხილია. გარდა იმისა, რომ ზოგადად აფხაზეთში სასკოლო პროგრამა და მეთოდოლოგია მოძველებულია, მონაწილეთა თქმით, თვითონ ადგილობრივი ქართველი პედაგოგებიც არ არიან მომზადებული, რომ ბავშვებს სათანადოდ დაეხმარონ. როგორც მინიმუმ, იმ პედაგოგთა რაოდენობა, რომელთაც უნარებში დახმარების გაწევა შეუძლიათ, არასაკმარისია.

„მომზადება ადვილი არ არის, მაგრამ არც რთულია. ეხლა პროგრამები ისეთი გამზადებული იყიდება, ვინც სპეციალისტია და თავისი პროფესია კარგად იცის, მისთვის თავისთავად რთული არ არის ბავშვის მომზადება. მაგრამ, სირთულეს ვაწყდებით ჩვენ ზოგადი უნარ-ჩვევების გამო. იმიტომ რომ ჩვენთან ეს საგანი არ ისწავლება, ჩვენი ბავშვებისთვის საგანი არის მიუწვდომელი და ამიტომ ბევრი პედაგოგიც არ არის გადამზადებული ამ საგნის მიხედვით. ჩვენ თუ რაღაც ტრენინგები გაგვივლია სადაც ერთეულებს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ შეგვიძლია მოსწავლის მომზადება უნარ-ჩვევებში.“

(მასწავლებელი, მდებრობითი, გალი)

რეპეტიტორების საჭიროებაზე აზრთა სხვადასხვაობა იყო ყველა ჯგუფში, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ჩანს, რომ ვინც ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობას აპირებს, ყველა ცდილობს კერძოდ დაქირავებულ მასწავლებელთან მოემზადოს. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი ფინანსური შესაძლებლობები და უსაფრთხოების საკითხებია. გალიდან ზუგდიდში გადასვლის შემთხვევაში, რაც ყველაზე სასურველად მიიჩნევა არსებულ სიტუაციაში, გაცილებით მაღალია ტრანსპორტის ხარჯი და საზღვარზე პრობლემების რისკი. როგორც ყველა ჯგუფთან დისკუსიაში აღინიშნა, უკვე რამდენიმე წელია, რაც აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება ეთნიკურ ქართველებზე აფხაზურ პასპორტებს არ გასცემს. შესაბამისად, უფროსკლასელებს, რომლებიც ზუგდიდში გადმო-სვლას ცდილობენ, საშუალება არ აქვთ, ოფიციალური გამშვები პუნქტებით ისარგებლონ და შემოვლითი გზების გამოყენება უწევთ. როგორც აღინიშნა, ამ გზებით სარგებლობა ბუნებრივად შეიძლება სარისკო იყოს (მდინარის ფეხით გადმოქრა, ა.შ.) რასაც ამგვარი „არალეგალური“ გადმოსასვლელების გაძლიერებული კონტროლიც ემატება რადგან აფხაზი ან რუსი მესაზღვრეების მიერ გადმომსვლელის დაკავების შემთხვევაში, შესაძლებელია ჯარიმის დაკისრება ან დაკავებაც. საბოლოოდ, აბიტურიენტების „ნახევარი დადის ზუგდიდში, ნახევარი დადის გალში. შაბათ-კვირას ბავშვები აქეთ-იქით დადიან“. როგორც გამოიკვეთა, „ლეგიტიმურად“ გამოყოფი ხაზის გადაკვეთის შემთხვევაშიც კი, ერთსა და იმავე დროს ერთი ბავშვის მიერ ყოველ კვირა გამოყოფი ხაზის გადაკვეთაც შესაძლებელია და პრობლემური გამხდარა წარსულში.

ცალსახაა, რომ სახელმწიფოს მიერ გაღებული სტუდენტებისათვის გრანტის გაცემა მაღალი მოტივაციაა საქართველოში სწავლის გასაგრძელებლად. გრანტის მიუხედავად, მოსწავლეთა და მშობელთა დიდი

ნაწილი ამბობს, რომ მათი სურვილია, რომ შვილებმა საკუთარ, მშობლიურ ენაზე, განათლება საქართველოში მიიღონ. მაგრამ ამ გადაწყვეტილების მიღებას კიდევ რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. პირველ რიგში ისაა აღსანიშნავი, რომ აფხაზეთში ქართული დიპლომით სამსახურის შოვნა შეუძლებელია. ქართველი მასწავლებლების ცნობით, მიუხედავად ქართული უმაღლესი განათლებისა და სამუშაო გამოცდილებისა, იმისათვის რომ სკოლებში მუშაობის უფლება შეენარჩუნებინათ, მათ გალში ჰუმანიტარულ-პედაგოგიური ფასიანი კოლეჯის გავლა დასჭირდათ. ფაქტიურად, საქართველოში უმაღლესი განათლების მისაღებად წასვლა იმას ნიშნავს, რომ ადამიანი აფხაზეთში აღარ დაბრუნდება ან იქ მომავალი არ ექნება. ამ შემთხვევაში ერთადერთი გამოსავალი აფხაზეთში დამატებითი განათლების მიღებაა. როგორც იკვეთება, ამის მიზეზად ის სახელდება, რომ აფხაზეთში აფხაზურთან ერთად, რუსულიც სახელმწიფო ენის სტატუსით სარგებლობს და აუცილებელია მისი ცოდნის დადასტურება. აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული უმაღლესი განათლების დაწესებულებების დაბალი ხარისხის გათვალისწინებით, მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ასეთი ვალდებულება ნებისმიერი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულისათვის შეურაცხმყოფელი და დამამცირებელია.

ამას გარდა, გამოიკვეთა სოციალური პრობლემაც. თუნდაც გრანტის აღების შემთხვევაშიც, სტუდენტის საქართველოში გაგზავნის ხარჯები აფხაზეთში მცხოვრები ოჯახების უმრავლესობისათვის მიუწვდომელია. რამდენიმე მშობელმა ისიც აღნიშნა, რომ მათ საქართველოში მეგობრები და ნათესავები არ ჰყავთ, სადაც მათ შვილებს ცხოვრება შეეძლებოდათ. ბინის დაქირავება კი დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, რისი გაღების საშუალებაც მათ არ გააჩნიათ. ამიტომაც, გამყოფ ხაზზე გადასვლის სირთულეებიდან გამომდინარე, უმაღლესი განათლებისათვის შვილების საქართველოში გაგზავნას არც კი განიხილავენ. ეს პრობლემები თავს იჩენს არა მხოლოდ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდთან დაკავშირებით, არამედ გამოცდებისათვის ზუგდიდში მომზადებასაც უშლის ხელს. მათი თქმით, შესაძლებელია სოხუმის უნივერსიტეტში გაცილებით დაბალი იყოს სწავლის ხარისხი, მაგრამ მათთვის და მათი ოჯახებისათვის ეს ალტერნატივა საბოლოო ჯამში უფრო მისაღები იქნებოდა.

უმაღლესი განათლების მისაღებად აფხაზეთში დარჩენა ან რუსეთში გამგზავრება ხშირ შემთხვევაში ოჯახთან და ნათესავებთან ახლოს ყოფნის სურვილით და რუსეთის შემთხვევაში – აფხაზეთთან შედარებით,

გაცილებით უფრო დიდი შესაძლებლობების არსებობითაა განპირობებული. ამას ისიც ემატება, რომ რუსეთში უმაღლესი განათლების მისაღებად სხვადასხვა სასწავლებელში აფხაზეთის მოსახლეობისათვის „ლიმიტები“ დაწესებული. ეს, ცხადია, როგორც ინტერესს, ისე ხელმისაწვდომობას ზრდის. მაგრამ, როგორც მოსწავლეებთან საუბარში გამოიკვეთა, ლიმიტით სარგებლობა კორუფციის გამო „ძალიან ძვირია.“ რუსულ გამოცდებში კი, როგორც ირკვევა, აფხაზეთში კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი კონკურენტუნარიანი ვერ იქნება.

საქართველოს უმაღლესი განათლების ხარისხის შეფასებისას მშობლები და მოსწავლეები განსაკუთრებით მაღალი აზრის არიან. როგორც ჩანს, გალში მცხოვრები ქართველებისათვის, საქართველოში უმაღლესი განათლების ხარისხის შეფასება პირველ რიგში ერთიანი ეროვნული გამოცდების შეფასებით იწყება და გამოცდების მიუკერძოებელი და სამართლიანი რეპუტაცია მათთვის მნიშვნელოვანია. დისკუსიისას ამ გარემოებას, აფხაზეთსა და რუსეთში კორუფციის საპირწონედ, რამდენჯერმე გაუსვეს ხაზი. თვითონ უნივერსიტეტებში სწავლების ხარისხზეც ძირითადად მაღალი წარმოდგენა აქვთ და ხაზს უსვამენ საერთაშორისო კავშირებსა და გაცვლით პროგრამებს, უცხოეთში განათლება მიღებულ პროფესორებს და უცხოელი პროფესორების მოსმენის შესაძლებლობებს. უფრო ზოგადად, აფხაზეთში მიაჩნიათ, რომ საქართველოში სწავლება მოქნილი და სტუდენტის ინტერესებზე მორგებულია. თუმცა მოსწავლეთა დისკუსიებისას ისიც აღინიშნა, რომ საქართველოში განათლების უფრო მაღალი ხარისხის გამო, აფხაზეთიდან წასულებს გაცილებით უფრო მეტი მუშაობა და სწავლა სჭირდებათ, რომ ქართველ თანაკურსელების დონეს მიაღწიონ.

დისკუსიების დასასრულს ყოველ ჯგუფს ვეკითხებოდით: შესაძლებლობის შემთხვევაში რა მოთხოვნებით მიმართავდნენ საქართველოს ხელისუფლებას? ყველა ჯგუფის შემთხვევაში, პირველადი მოთხოვნა იყო ქართული ენის სწავლების შენარჩუნებაში დახმარება და ქართულისათვის მეტი საათების დათმობა. მშობელთა დისკუსიის ერთმა მონაწილემ კი უფრო განავრცო ეს მოთხოვნა:

„ხომ შეუძლია (მთავრობას) რაღაცა შეთახმებას მიაღწიოს, რომ მშობლიურ ენაზე იყოს სწავლება. ყველას აქვს განათლების უფლება და განათლება მიიღება იმ ენაზე, რომელზეც მას სურს. ეს არის კანონში, თუნდაც აფხაზეთის კანონში. იქნება იქ, განათლების კანონში ეს ეწერება. ყველას გვაქვს ამის უფლება და რატომ უნდა ვაწვალოთ ბავშვები და

ვიწვალოთ ჩვენ და ვასწავლოთ რუსულად ან აფხაზურად. ეს არის პირველი მოთხოვნა და მერე დანარჩენის სხვა“.

(მშობელი, მდედრობითი, გალი)

უნდა აღინიშნოს, რომ დისკუსიების არც ერთ მონაწილეს არ გამოუხატავს აფხაზური მხარის და აფხაზური ენის მიმართ აგრესია და აცხადებდნენ, რომ არაფრით ეწინააღმდეგებიან აფხაზური ან რუსული ენების სწავლებას საკუთარი შვილებისთვის, მაგრამ მოითხოვენ, რომ ეს მშობლიური ენის ხარჯზე არ მოხდეს.

ენის სწავლების უზრუნველყოფაში მთავრობის დახმარების გარდა, უფრო ხელშესახები დახმარების მოთხოვნა ძირითადად წიგნებს და კომპიუტერებს შეეხებოდა, განსაკუთრებით მშობლების მხრიდან. მათთვის ცნობილია, რომ საქართველოში სკოლის მოსწავლეებისათვის წიგნები უფასოა და რომ პირველკლასელებს პერსონალური კომპიუტერები გადაეცემათ და სურთ, მსგავსი დახმარება მათი შვილებისთვისაც იყოს ხელმისაწვდომი.

საუნივერსიტეტო გრანტის არსებობით ყველა კმაყოფილია, თუმცა ჩანს, რომ გალის მცხოვრებლები კიდევ უფრო მეტს მოელიან საქართველოს მთავრობისგან. მაგალითად, რამდენჯერმე იყო მოყვანილი შემთხვევა, როცა აბიტურიენტს „ნახევარი ქულა დააკლდა“ და ამიტომ ვერ მიიღო გრანტი. ასევე რამდენიმე შემთხვევაში აღინიშნა, რომ კარგი იქნებოდა სახელმწიფოს მხრიდან მაგისტრატურაში სწავლის დაფინანსებაც იყოს შესაძლებელი. თუმცა, ისიც ითქვა, რომ საქართველოში ბაკალავრიატის გავლის შემდეგ, აფხაზეთიდან წასულმა სტუდენტებმა მაგისტრატურის გრანტი უკვე თავად, თანაბარი კონკურენციის პირობებში, უნდა დაიმსახურონ.

ცხადია, რომ გალის ქართული მოსახლეობა თვლის, რომ გალში ცხოვრებით პატრიოტულ მისიას ასრულებს და ამისათვის მეტ დაფასებასა და მხარდაჭერას მოელის საქართველოს მხრიდან.

აფხაზეთთან გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე სოფლები

გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე ქართულ სოფლებში მაღალია აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის წილი. ამას გარდა, გამყოფ ხაზთან სიახლოვე არა მხოლოდ ფსიქოლოგიური დამაბულობის, არამედ რეალურად ფიზიკური რისკის შემცველიც შეიძლება იყოს.

ამდენად, ჩვენთვის საინტერესო იყო თუ როგორ აღიქვამს თავს იქაური მოსახლეობა – რისკის ქვეშ ცხოვრების მიუხედავად, თვლიან თუ არა, რომ მათთვის ხარისხიანი განათლება ხელმისაწვდომია.

გამომდინარე იქიდან, რომ აფხაზეთის ტერიტორიისგან განსხვავებით, ფოკუს ჯგუფის ჩატარება გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში ღიად შეგვეძლო, მონაწილეები სხვადასხვა სოფლიდან და სკოლიდან იყვნენ. შესაბამისად ჩატარდა მხოლოდ სამი დისკუსია – თითო მასწავლებლებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან, და ოთხი ინტერვიუ. აღსანიშნავია, რომ დისკუსიებში რამდენიმე მონაწილე აფხაზეთის მხრიდან იყო გადმოსული.

ზოგადად გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე სოფლების მცხოვრებლები თვლიან, რომ მათთვის ხელმისაწვდომი სასკოლო განათლების ხარისხი მაღალია და არაფრით ჩამოუვარდება საქართველოს დანარჩენი ტერიტორიების განათლების დონეს. მასწავლებლების მომზადებით და გადამზადების კურსების ხელმისაწვდომობითაც კმაყოფილები არიან როგორც მასწავლებლები, ისე მშობლები. ერთადერთი საკითხი, რაშიც ეს ორივე ჯგუფი სხვაობას ხედავს, არის „ფსიქოლოგიური დაძაბულობა“ და „გაუხსნელობა“, თუმცა მიაჩნიათ, რომ სტრესის მიუხედავად, სწავლის ხარისხი არ ზარალდება.

აღსანიშნავია, რომ გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე სოფლებში დისკუსიისას გამოიკვეთა ის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სკოლების გარდა, გალის რაიონის ქართულ სკოლებსაც ეგზავნებათ საქართველოდან სახელმძღვანელოები. ამის გამო ძირითადად კმაყოფილება გამოიხატა, თუმცა რამდენიმე მონაწილემ აღნიშნა, რომ უკვე გამოყენებული¹² შევსებული სასწავლო რეგულაციების უფასოდ მიღებას, ერჩიათ, ახალი სასწავლო ლიტერატურა საკუთარი ხარჯებით შეეძინათ, თუმცა ამის საშუალება არ მიეცათ. ასევე აღინიშნა, რომ აფხაზეთში დიდი ოდენობით სასწავლო მასალის გადატანა თითქმის შეუძლებელი იყო და ამიტომ სახელმწიფოსგან ითხოვენ სასწავლო წლის დაწყებამდე თადარიგის დაჭერას.

გალის რაიონისგან განსხვავებით, გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე სოფლებში სასკოლოს გარდა არაფორმალური განათლების მიღების შესაძლე-

ბლობებიც არის. მოსწავლეებმა აღნიშნეს რამდენიმე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული ტრენინგებისა და დისკუსიების პროგრამები, რასაც მნიშვნელოვნად მიიჩნევენ. ეს შესაძლებლობები ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი ვერ იქნება, თუნდაც გეოგრაფიულად, მაგრამ როგორც ჩანს, მათ შესახებ ინფორმაცია საკმაოდ გავრცელებულია.

რაც შეეხება უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობებს და ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მომზადებას, გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე სოფლებიდან თითქმის ყველა საქართველოში აპირებს სწავლის გაგრძელებას და თვლიან, რომ ამისათვის სრული ინფორმაცია და მხარდაჭერა აქვთ, თუმცა ასევე უსვამენ ხაზს რეპეტიტორთან დამატებით მომზადების საჭიროებასაც. ამის მიუხედავად, მოსწავლეთა შორის იყვნენ ისეთებიც, ვინც თვლიდა, რომ სკოლაში „აბიტურის საათების“ დამატებით, უკვე საკმარისი დახმარება ჰქონდათ და რეპეტიტორთან სიარული აუცილებელი აღარ იყო.

გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე სოფლებში დისკუსიისას კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე სასწავლებლად არა მხოლოდ აფხაზეთიდან გადმოდიან. მაგალითად, სოფელ ხურჩაში სკოლის არარსებობის გამო, ადგილობრივ მოსწავლეთა ნაწილი აფხაზეთში გადადის, სოფელ ნაბაკევის სკოლაში, რადგან ის უფრო ახლოა, ვიდრე საქართველოს კონტროლის ქვეშ მყოფი სოფელი კოკი, სადაც უახლოესი ქართული სკოლაა. როგორც ინტერვიუდან ირკვევა, ვიდრე 2012 წელს დე-ფაქტო საზღვარზე რუსი მესაზღვრეები დადგებოდნენ და კონტროლი გამკაცრდებოდა, ნაბაკევის სკოლაში ბევრი ქართველი მოსწავლე გადადიოდა. 2012 წელს ნაბაკევაში 42 ქართველი მოსწავლე იყო, მაგრამ საზღვარზე გართულებამ მკვეთრად შეამცირა მათი რიცხვი.

„2012 წლიდან საზღვარზე ჩადგა რუსი და შეიქმნა პრობლემა გადასვლის. 2013 წელს მოსწავლეთა რაოდენობა იყო 13, რომელიც გადადიოდა ნაბაკევაში სასწავლებლად. 2014 წელს გადადის რისკი ფასად 5 მოსწავლე: აქედან 2 მე-11 კლასელი და მე-3 მე-9 კლასელები.“

(მასწავლებელი, მდებარეობით)

შესაძლოა, ტერიტორიული სიახლოვის გარდა, ასეთი შემთხვევები იმითაც იყოს გამოწვეული, რომ ყველასათვის ცნობილია აფხაზური სკოლების კურსდამთავრებულთათვის საქართველოს სახელმწიფოს მიერ

12. ქართული სკოლების სახელმძღვანელოები, როგორც წესი, ორნაწილიანია – სახელმძღვანელოს თან ახლავს რეგულიც, რომელშიც დავალებებია მოცემული და რომელსაც მოსწავლეები ხელით ავსებენ.

100%-იანი გრანტით უზრუნველყოფის შესახებ.

როგორც ასეთი შემთხვევებიდან, ისე კითხვებზე პასუხებიდან ჩანს, რომ მოსწავლეებმა ზუსტად არ იციან, რომ მათ გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე სოფლებში სკოლის დამთავრების შემთხვევაშიც სოციალურ გრანტზე ხელმისაწვდომობის უფლება აქვთ.

მოსწავლეებთან დისკუსიით ირკვევა ისიც, რომ ისინი გამოცდების, გრანტების თუ სხვა შეღავათების არსებობაზე ინფორმაციას ძირითადად სკოლაში იღებენ.¹³ ზუმცა, გამოიკვეთა, რომ მიღებული ინფორმაცია შესაძლოა, სრულყოფილი და ბოლომდე სანდო არ იყოს.

რაც შეეხება მშობლებს, ისინი ნაკლებად ინფორმირებულები იყვნენ გრანტებისა და შეღავათების შესახებ.

საქართველოს ხელისუფლების მიმართ მოთხოვნებსა და სურვილებთან მიმართებაში, მასწავლებლების და მშობლების ჯგუფში რამდენჯერმე გამოითქვა, რომ სკოლებში აუცილებელია იყოს ფსიქოლოგი, რომელიც დევნილ ბავშვებთან იმუშავებდა.

„ჩვენმა ბავშვებმა ძალიან ბევრი გადაიტანეს, არავინ დაგვხმარებია და აუცილებელია ფსიქოლოგიური კონსულტაცია.“

(მასწავლებელი, აფხაზეთთან გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე სოფელი)

მასწავლებლები ასევე სთხოვენ ხელისუფლებას, ეცადოს და უზრუნველყოს მოსწავლეებისა და მასწავლებლების თავისუფალი გადაადგილება დე ფაქტო საზღვარზე. მათი აზრით, ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული ენის სწავლების პრობლემების პირობებში. როგორც აღინიშნა, აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი მოსწავლეებისათვის დღეს ქართული ენის სრულყოფილად სწავლების ერთადერთ გზად გამყოფი ხაზის გადმოლაზხვა და ზუგდიდში მასწავლებლებთან მომზადება მიიჩნევა. ერთი სურვილი, რომელიც რამდენიმე მონაწილემ გაიმეორა, იყო მასწავლებლის თუ მოსწავლეთა სახლების შექმნა, სადაც ცოდნის მიღება გამყოფი ხაზის ორივე მხარის მოსწავლეებისათვის იქნებოდა ხელმისაწვდომი.

13. ერთ-ერთმა მოსწავლემ აღნიშნა, რომ გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე სოფლებში მოსწავლეებისთვის 50%-იანი დაფინანსება იყო გამოყოფილი, მაგრამ მხოლოდ 50 ბავშვისათვის, ვისაც უფრო მაღალი ქულები ექნებოდა და ვინც გამყოფ ხაზთან უფრო ახლოს ცხოვრობდა. მან აღნიშნა, რომ ეს ინფორმაცია თავისი სკოლის დირექტორისგან ჰქონდა მიღებული.

ზოგადად, დამაკმაყოფილებელი ინფრასტრუქტურის მიუხედავად, როგორც მასწავლებლების, ისე მოსწავლეების მხრიდან გამოიხატა მისი გაუმჯობესების სურვილი, განსაკუთრებით სამეცნიერო ლაბორატორიების კუთხით. ამ ზოგად თხოვნებთან ერთად, ხურჩაში მცხოვრები მოსწავლეებისგან გამოითქვა სურვილი, რომ მათ სოფელში სკოლა აშენდეს, რომ სასწავლებლად არც აფხაზეთში და არც რამდენიმე კილომეტრით მოშორებულ სოფელ კოკში მოუწიოთ გადასვლა.

მშობლების მხრიდან ორი დამატებითი თხოვნა გამოიკვეთა – ერთი უსაფრთხოებასთან და მეორე რუსული ენის საჭიროებასთან დაკავშირებით. რადგან დე-ფაქტო საზღვარზე ძირითადად რუსი მესაზღვრეები დგანან და ადგილობრივ მოსახლეობას მათთან უწევს აქტიური კომუნიკაცია. ერთი მშობლის თხოვნაა, გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე პირველივე კლასიდან დაიწყოს რუსული ენის სწავლება. ბოლო პერიოდში მომხდარი რამდენიმე ყაჩაღობის გამო კი გამოიკვეთა კრიმინალის გაძლიერებისადმი მოსახლეობის შიში. ამიტომ, რამდენიმეჯერ გამოითქვა თხოვნა, ქართულმა პოლიციამ პატრულირება გაააქტიუროს და ყველა სოფელი მოიცვას.

სამხრეთ ოსეთი/ცხინვალის რეგიონი

სამხრეთ ოსეთთან / ცხინვალის რეგიონთან გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე სოფლები

სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე სოფლებში ჩატარდა სამი ფოკუს ჯგუფი მასწავლებლებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან.

სამივე ჯგუფთან საუბრისას განსაკუთრებით მძაფრად გამოიკვეთა მძიმე სოციალურ ფონთან დაკავშირებული სირთულეები, რაც, მათ შორის განათლების ხარისხზე და ხელმისაწვდომობაზეც აისახება. განათლების ხარისხის შეფასების მხრივ, გამოიკვეთა მოსწავლეთა შორის ზოგიერთი სკოლის სწავლების ხარისხით უკმაყოფილება. თუმცა, აღინიშნა სკოლის გარეთ არაფორმალური განათლების შესაძლებლობებიც: განსაკუთრებით საპატრიარქოსთან არსებულ სასწავლებელში ნიქოზში. ბავშვების მონათხრობით იქ ხელოვნებასა და სპორტთან ერთად სასკოლო საგნებშიც იღებენ დამატებით მომზადებას.

„ჩემი აზრით, დღევანდელი განათლება, რაც მე მაქვს მიღებული, დაახლოებით 50% ამ სკოლიდან (იგულისხმება საპატრიარქოს სკოლა) მაქვს, იმიტომ რომ ძალიან ბევრ სკოლაში არაა ისეთი დონის განათლება, რომელიც ამ სკოლაშია.“

(მოსწავლე, მამრობითი, ნიქოზი)

საპატრიარქოს ხელოვნების სკოლის გარდა, მოსწავლეებმა საუბრისას რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ორგანიზებული ტრენინგები და შეჯიბრებებიც ახსენეს, რაც გარკვეული დამატებითი განათლების მიღების შესაძლებლობას აძლევთ. თუმცა, სხვა დისკუსიებიდან გაირკვა, რომ ამგვარი დამატებებითი შესაძლებლობა ყველა სოფლის მცხოვრები ბავშვისათვის არ არის ხელმისაწვდომი.

გამოიკვეთა, რომ გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე სოფლების სასკოლო განათლების ხარისხზე დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია ტერიტორიიდან მოსახლეობის გადინებას.

„ვისაც გასაქმევი არ გვაქვს, ისინი ვართ აქ“.

(მშობელი, მდედრობითი, საკორინთლო)

როგორც მასწავლებლებთან დისკუსიისას აღინიშნა, მოსწავლეთა არასაკმარისი რაოდენობის გამო, მაგალითად ხურვალეთის სკოლა იძულებული გახდა მე-3 და მე-4 კლასები გაერთიანებინა და ერთობლივი გაკვეთილები ჩატარებინა. პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ მასწავლებელი გაკვეთილის ერთ ნახევარს მე-3 კლასელებს უთმობს, მე-3 კლასის პროგრამით, და მეორე ნახევარს - მე-4 კლასელებს, თავიანთი პროგრამით. ეს, ცხადია, სრულყოფილი განათლების მიღების შესაძლებლობას არავის აძლევს დაამისგამო როგორც მშობლები, ისე მასწავლებლები უკმაყოფილებას გამოთქვამენ.

საუნივერსიტეტო განათლების მიღების შესახებ ბავშვები მეტნაკლებად არიან ინფორმირებულები იმის მხრივ, თუ რამდენად ახლოა მათთვის აბიტურიენტობის პერსპექტივა. მე-11 კლასელები უფრო ინფორმირებულები არიან როგორც ერთიანი ეროვნული გამოცდების, ისე გრანტის მიღების შესაძლებლობების შესახებ, მათ შორის გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე სოფლებში სწავლის გამოც. ასევე გამოიკვეთა, რომ ბავშვები ინფორმირებულები არიან იმის შესახებაც, რომ მხოლოდ გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე სოფელში ცხოვრება საკმარისი არაა გრანტის მისაღებად. მთავარია გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე სოფლის სკოლაში სწავლა. როგორც აღმოჩნდა, ამან შეიძლება ბავშვების გარკვეულ რაოდენობას

პრობლემები შეუქმნას, რადგან არის სოფლები, რომლებიც დე-ფაქტო საზღვართან ძალიან ახლოსაა, მაგრამ საზღვრისპირა სოფლად არ ითვლება.¹⁴

გამოცდებისათვის მომზადებაში ყველაზე დიდ სირთულედ მოსწავლეები მძიმე ფინანსურ მდგომარეობას მიიჩნევენ, რის გამოც კერძოდ მომზადება რთულია. ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარებისათვის კი რეპეტიტორთან სიარულს ყველა ჯგუფი გადაწყვეტად მიიჩნევს.

„... სოფელში, რაიონებში ბევრი ამბობს, რომ არ არიან კვალიფიციური მასწავლებლები და მომზადება უწევთ გორში. ძალიან ბევრს აქვს ფინანსური პრობლემა და ამიტომ ძალიან უჭირთ გორში მომზადება“

(მოსწავლე, მამრობითი, ნიქოზი)

მშობელთა დისკუსიისას კიდევ უფრო დიდი უიმედობა გამოიკვეთა:

„თუ რაღაც არ მოხდა და ბავშვი ისეთი არ არის, რომ თავისით რაღაცას მიაღწიოს, აქ არავინ არის ისეთი, რომ მოამზადოს. შეიძლება სასწაული მოხდეს“.

(მშობელი, მდედრობითი, საკორინთლო)

ფინანსური ხელმისაწვდომობის გარდა, გამოიკვეთა, რომ ტრანსპორტის შეზღუდული მუშაობის გამო რაიონული ცენტრისაკენ გადაადგილებაც რთულია, რაც, მონაწილეთა ცნობით, სასკოლო განათლებაზეც აისახება – რადგან სკოლა ყველა სოფელში არაა და მოსწავლეებს საკმაო მანძილის გავლა ფეხით ან ტრანსპორტით უწევთ. ზამთრის წვიმიან დღეებში სოფლებს შორის მოძრაობა ძალიან რთულია და სკოლის გაცდენების მაჩვენებელიც მაღალია.

ყველა ჯგუფის დისკუსიისას გამოიკვეთა, რომ ეკონომიკური პრობლემები განსაკუთრებით 2008 წლის ომის შემდეგ გამძაფრდა. მანამდე თუ მოსახლეობა თავის შენახვას მიწათმოქმედებით ახერხებდა, ახლა ამის საშუალება აღარ ეძლევათ, განსაკუთრებით სარწყავი წყლის მიუწოდებლობისა და უსაფრთხოების არარსებობის გამო.

„ჩვენ თუ არ გავინმერით არაფერი არ იქნება, მაგრამ როგორ გავინმერეთ? კი მოგვყავდა ყველაფერი, მაგრამ...“

(მშობელი, მდედრობითი, საკორინთლო)

14. მაგალითად დისკუსიისას მოიყვანეს სოფელი ფხვენისი, რომელიც ცხინვალისა და 5-6 კილომეტრითაა მოშორებული, მაგრამ გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე სოფლად არ ითვლება.

ეკონომიკური პრობლემების გარდა განსაკუთრებით გამოიკვეთა, რომ ცხინვალის რეგიონის მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობას უსაფრთხოების განცდა არა აქვს. ამ ზოგად სიტუაციას ისიც ემატება, რომ ადგილზე ინფრასტრუქტურა მოუწესრიგებელია – არ არის გზები და ტრანსპორტი. საკუთარ სახლსა და სკოლებში დამატებითი განათლების მიღებას კი ხელს ბიბლიოთეკების არარსებობა და ინტერნეტთან ფაქტობრივი მიუწვდომლობა უშლის.

„ბიბლიოთეკის არქონა ძალიან ცუდად აისახება განათლებაზე, ასევე ინტერნეტის საჭიროებაც, რადგან ახშობენ სიგნალს და ელემენტარული, მობილური ოპერატორებსაც უჭირთ მიღება. (...) სხვებთან შედარებით არ გვაქვს დამატებითი რესურსი სწავლისთვის.“

(მოსწავლე, მდედრობითი, ნიქოზი)

ყველა დისკუსიის დასასრულს მონაწილეებს ვეკითხებოდით, თუ რა დახმარებას ითხოვდნენ მთავრობისგან. აღსანიშნავია, რომ ყველა სხვა დისკუსიის მონაწილე მოსწავლეებისგან განსხვავებით, ნიქოზში მიმდინარე დისკუსიაზე მთავრობისადმი მიმართვის ძირითადი თემა განათლებას არ უკავშირდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ იყო თხოვნა ბიბლიოთეკის თუ სამკითხველო დარბაზისა და სპორტული მოედნის მოწყობასთან დაკავშირებით, მონაწილეთა უმეტესობამ საკუთარი თემის ყოფით საჭიროებებზე გაამახვილა ყურადღება. ბავშვებმა ითხოვეს გზისა და ტრანსპორტის, წყლის და დასუფთავების პრობლემების მოგვარება და სოფლისთვის სასწარაფო დახმარების მანქანის გამოყოფა.

მშობლების თხოვნებიც სრულად სოციალურ და კომუნალურ პრობლემებს შეეხო. მაგრამ პრობლემებზე საუბრისას კვლავ გამოიკვეთა უიმედობა და ბრაზიც იმის გამო, რომ ეს პრობლემები ყველასთვის კარგადაა ცნობილი, მაგრამ საშველი მაინც არ ჩანს.

„გაეროს ხალხი სულ დადიან, გვეკითხებიან, „აბა რა გიჭირთ?“ რამდენიღა უნდა ჩაიწერონ? დამანებეთ თავი-მეთქი, იმ დღეს ვუთხარი. ხო, დავუტყე, ერთი და იგივე, ერთი და იგივე. ჩვენ არავინ დაგვხმარებია. თქვენ ხელფასს იღებთ-მეთქი და მე არაფერსა. ხო რაა, ისინი რომ იწერენ მე რა ჯანდაბა მეძლევა?!“

(მშობელი, მდედრობითი, საკორინთლო)

ახალგორის რაიონი

ახალგორის რაიონის ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადასვლა და ფოკუს ჯგუფების მოწყობა შეუძლებელი გამოდგა. ამიტომ, ამ ტერიტორიაზე სამი ინტერვიუ ჩატარდა – მასწავლებელთან, მოსწავლესთან და მშობელთან.

ჩატარებული ინტერვიუების მიხედვით ჩანს, რომ ახალგორის რაიონში სწავლების დონე მაღალი არ არის. პრობლემების მხრივ მიუთითებენ როგორც მასწავლებელთა დაბალ პროფესიულ დონეზე, ისე, განსაკუთრებით მოძველებულ სახელმძღვანელოებზე და ინფრასტრუქტურაზე. მასწავლებელმა აღნიშნა, რომ მართალია ქართული სახელმძღვანელოები შარშან გამოეგზავნათ, მაგრამ ეს მხოლოდ დეკემბრისთვის მოხერხდა. მიმდინარე სასწავლო წელს კი წიგნები არ გამოგზავნილა. თუმცა, მშობელმა აღნიშნა, რომ მოსწავლეებს კლასგარეშე აქტივობების შესაძლებლობები აქვთ და სკოლებთან სპორტული და სახელოვნებო წრეები ფუნქციონირებენ. რაც შეეხება უმაღლესი განათლების მიღების პერსპექტივას, აქ როგორც ჩანს, ერთადერთი ორიენტირი საქართველოა, რადგან ადგილობრივმა ბავშვებმა რუსული არ იციან და ცხინვალში ან რუსეთში რუსულ ენაზე განათლების მიღებას ვერ შეძლებენ. ამასთან აღინიშნა, რომ ცხინვალში უმაღლეს სასწავლებელში წასვლას აზრი არც აქვს, რადგან არაფერს ასწავლიან და ფაქტიურად დიპლომს ყიდულობ.

შეუძლებელია მხოლოდ სამ ინტერვიუზე დაყრდნობით ითქვას, თუ რამდენადაა ინფორმირებული მოსახლეობა ერთიანი ეროვნული გამოცდების და მათი ჩაბარების შემთხვევაში – დაფინანსების შესაძლებლობების შესახებ. ჩვენს შემთხვევაში, მე-10 კლასელი გოგონა, იმის მიუხედავად რომ სწავლის გაგრძელებას თბილისში გეგმავდა, სრულად ინფორმირებული არ იყო. ამ თემებზე მშობელი და მასწავლებელი უფრო იყვნენ ინფორმირებული. თუმცა, მათი მხრიდანაც გამოიკვეთა დამოკიდებულება, რომ მხოლოდ სასწავლო გრანტი სიტუაციას ვერ შეცვლის – მთავარია მანამდე გამოცდებისათვის მომზადებაში და ზოგადად განათლების ხარისხის ამაღლებაში ხელშეწყობა.

ახალგორში მცხოვრებლები მიუთითებენ ეთნიკურ ნიადაგზე მათზე განხორციელებულ წნეხზე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველამ ერთხმად აღნიშნა, რომ თბილისში სწავლის გაგრძელების შემთხვევაში

ახალგორში დარჩენილ ოჯახის წევრებს საფრთხე არ დაემუქრებათ.

რაც შეეხება საქართველოს ხელისუფლების მიმართ თხოვნებს, ყველა რესპონდენტი ითხოვს განათლების ხარისხის ამაღლებაში ხელშეწყობას – როგორც მასწავლებლების გადამზადების, ისე სახელმძღვანელოების მიწოდების მხრივ.

„ვთხოვ, რომ ჩვენი ბავშვებისთვის მეტი ყურადღება გამოიჩინონ. იქნებ, თბილისში გამოყონ ისეთი პედაგოგები, რომლებიც გამოცდებისთვის უფასოდ მოამზადებენ ჩვენს ბავშვებს. აქ ჩვენი შვილები ძალიან გაუნათლებლები არიან. უფრო მეტი ყურადღება გვჭირდება, რომ ასეთები აღარ იყვნენ.“

(მშობელი, მდედრობითი, ახალგორი)



დასკვნები და რეკომენდაციები

ჩვენს მიერ კვლევისა და ინტერვიუების პროცესში კიდევ ერთხელ გამოჩნდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ქართველთა მძიმე პირობები. ფიზიკური უსაფრთხოების არარსებობისა და სიდუხჭირის გარდა, მათთვის ენისა და იდენტობის შენარჩუნების პრობლემაც დგას, განსაკუთრებით გალის რაიონში. ამ ტერიტორიებზე ხელმისაწვდომი განათლების არასახარბიელო ხარისხს ისიც ემატება, რომ მოსახლეობას მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობა არ ეძლევა. საქართველოს მთავრობას შეუძლია უფრო აქტიური პოლიტიკა გაატაროს იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ქართულ მოსახლეობას, შეინარჩუნოს ქართული ენა და კავშირი საქართველოსთან.

კვლევისას დადასტურდა, რომ საქართველოს არ აქვს ერთიანი და თანმიმდევრული ხედვა და პოლიტიკა ოკუპირებული და გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე ტერიტორიებზე ქართული განათლების ხელშეწყობასთან მიმართებაში. ცხადია, სხვადასხვა დოკუმენტში თუ კანონში ასახულია ეს რეგიონებიც, მაგრამ არ არსებობს ცალკე გამოყოფილი პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც სახელმწიფოს მიდგომას და ამოცანებს ნათლად გამოხატავდა და სრულყოფილად გააანალიზებდა და მოიცავდა არსებულ პრობლემებს და მათი გადაჭრის გზებს.

შესაბამისად, ჩვენი უპირველესი რეკომენდაციაა, სახელმწიფომ დაიწყოს ოკუპირებულ და გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისათვის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბება. მნიშვნელოვანია, რომ ეს პროცესი იყოს მონაწილეობითი და ხელმისაწვდომი როგორც ადგილობრივი არასამთავრობო სექტორისათვის, ისე საერთაშორისო დონორებისათვის.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევიდან გამოიკვეთა კონკრეტული საჭიროებები, რომელთა დაკმაყოფილების გზებს თავად მოსახლეობაც სთავაზობს მთავრობას. ჩვენს დისკუსიებსა და ინტერვიუებზე დაყრდნობით, მთავრობას ვთავაზობთ შემდეგს:

- საქართველოს მთავრობამ ჟენევის მოლაპარაკებათა ფორმატში დააყენოს საკითხი

ოკუპირებული ტერიტორიებიდან მოსწავლეთა და მასწავლებელთა თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფის შესახებ. ამ მხრივ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ყველა მოსწავლისთვის „მოსწავლის ბილეთის“ გაცემის უზრუნველყოფა აფხაზეთის ტერიტორიაზე.

- საქართველოს მთავრობამ ჟენევის მოლაპარაკებათა ფორმატში უნდა დააყენოს საკითხი, ოკუპირებულ ტერიტორიებზე საბაზისო განათლების მშობლიურ ენაზე მიღების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.
- საბაზისო განათლების ხარისხის ხელშეწყობად, საქართველოს მთავრობას უკვე შეაქვს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში / ცხინვალის რეგიონში სახელმძღვანელოები. გამოვლენილი მნიშვნელოვანი ხარვეზების ფონზე, გადამწყვეტი იქნება, სახელმწიფომ უზრუნველყოს ქართულენოვანი მოსწავლეების დროული უზრუნველყოფა წიგნებით, რომ ისედაც გართულებულ სასწავლო პროცესს დამატებითი საფრთხეები არ დაემუქროს.
- საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები მოსახლეობისათვის/მოსწავლეებისათვის ქართული ენის შესასწავლად პირობების შექმნა საქართველოს ტერიტორიაზე. ეს შეიძლება გულისხმობდეს, გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე რაიონულ ცენტრებში მოსამზადებელი ცენტრების შექმნას, სადაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსწავლეებისათვის უფასოდ შეთავაზებული იქნება ქართული ენის პროგრამა და ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელი კურსები როგორც ცალკეულ საგნებში, ისე ზოგად უნარებში.
- კურსების გარდა, ამ მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანი იქნება მოსამზადებელ კურსებზე სწავლის პერიოდში საცხოვრებლით

უზრუნველყოფაც, რომ კურსები რეალურად იყოს ხელმისაწვდომი და რომ მოსწავლეების უსაფრთხოებაც დაცული იყოს.

- საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს სწავლების მსგავსი მოდელის შემუშავება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში / ცხინვალის რეგიონში მცხოვრები და მომუშავე პედაგოგებისათვისაც. როგორც პედაგოგებმა თავად აღნიშნეს, რამდენიმე დღიანი გადამზადება მათთვის საკმარისი არ არის, რომ კვალიფიციურად მიიტანონ ქართული საგანმანათლებლო პროგრამა თავიანთ ქართველ მოსწავლეებამდე. შესაბამისად, „მასწავლებელთა სახლების“ ან მსგავსი დაწესებულებების შექმნა საშუალოვადიან პერიოდში ყველაზე ეფექტიანი შეიძლება იყოს როგორც ქართული ენის შენარჩუნების, ისე ხარისხიანი განათლების მისაღებად აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ქართველებისათვის.
- აგრეთვე, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართული ენის არასათანადო სწავლების ფონზე, შესაძლებელია რომ სახელმწიფომ უზრუნველყოს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი აბიტურიენტებისათვის განკუთვნილი 4+1 მოდელის მსგავსი პროგრამის შეთავაზება აფხაზეთში მცხოვრებთათვის. ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს იმ სტუდენტებს, რომლებიც დიდი დაბრკოლების მიუხედავად მაინც ახერხებენ ეროვნული გამოცდების ჩაბარებას და ქართული ენის არასაკმარისი ცოდნის გამო უკვე სწავლის პროცესში აწყდებიან სირთულეებს.
- ქართულ უნივერსიტეტებს საერთო საცხოვრებლები არ გააჩნიათ. ამიტომ ყველა კატეგორიის სტუდენტისათვის ხელმისაწვდომი საცხოვრებელი პრობლემაა. აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან წამოსული სტუდენტებისა და მათი ოჯახებისთვის კი, ისევე როგორც სტუდენტების შენახვის სირთულე, ასევე მათთვის საცხოვრისის დაქირავების შეუძლებლობაც მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორია. შესაბამისად, სახელმწიფოს მხრი-

დან საერთო საცხოვრებლებისა და სტიპენდიის შეთავაზება განსაკუთრებით მოწყვლადი სტუდენტებისთვის, მათ შორის, ოკუპირებული და გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე ტერიტორიებიდან წამოსული სტუდენტებისათვის, მნიშვნელოვანი ხელშეწყობა იქნებოდა.

- სახელმწიფომ უზრუნველყოს ოკუპირებული და გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე ტერიტორიებიდან წამოსული სტუდენტების რეესტრის შექმნა. მისი საჭიროება აუცილებელია იმ მიზნით, რომ სახელმწიფოს მხრიდან მიზნობრივი პროგრამების განხორციელებამ სისტემური ხასიათი მიიღოს.
- მნიშვნელოვანია საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი გადავიდეს დისტანციურ ელექტრონულ მომსახურებაზე და ისეთ ქალაქებში, როგორიცაა ზუგდიდი და გორი შეიქმნას ამ საჯარო სამართლის იურიდიული პირის რეგიონული განყოფილებები, სადაც შესაძლებელი იქნება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში მიღებული განათლების დადასტურება, აღიარება და ყველა ის სერვისი, რომელიც გააჩნია ამ ცენტრს თბილისში. აღნიშნული ქმედება საკმის გაუადვილებს როგორც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ისე გამყოფი ხაზის გასწვრივ, და ზოგადად, ამ რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას.
- ოკუპირებულ ტერიტორიებზე ხელმისაწვდომი განათლების დაბალი ხარისხის პირობებში, არაფორმალური განათლების შესაძლებლობების სიმწირე ადგილობრივ მოსწავლეებს განსაკუთრებით აზარალებს. ამ საკითხზე საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიურობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და შედეგიანი შეიძლება იყოს. საქართველოს მთავრობას ამ მხრივ ნაკლები შესაძლებლობები ექნება. მაგრამ, მოსწავლეთათვის უსაფრთხო მიმოსვლის უზრუნველყოფის შემთხვევაში, საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ არაფორმალური და სამშვიდობო განათლების პროგრამებზე ხელმისაწვდომო-

ბაც უზრუნველყოფილი იქნება. ამგვარი პროგრამები კი განსაკუთრებით შედეგიანი შეიძლება იყოს საქართველოსა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობას შორის ურთიერთობებისა და ნდობის აღდგენისათვის.

- საქართველოს მთავრობამ უფრო აქტიურად იმოქმედოს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში / ცხინვალის რეგიონში და გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე რეგიონების სტუდენტებისა და მოსწავლეების ჩასართავად გაცვლით პროგრამებსა და სპეციალური გადამზადების პროგრამებში.
- საქართველოში გამყოფი ხაზის გასწვრივ და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოქალაქეებისთვის ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემების გადასაწყვეტად აუცილებელია ცალკეულ სამინისტროებს შორის მჭიდრო კოორდინაცია. ასევე

მნიშვნელოვანი იქნება უწყებათა შორის საკოორდინაციო ორგანოს შექმნა და არსებული ვერტიკალის ჰორიზონტალურ სიბრტყეში გადატანა.

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სამინისტრომ, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ, სამხრეთ ოსეთის დროებითმა ადმინისტრაციამ, შიდა ქართლსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში სახელმწიფო რწმუნებულის აპარატებმა უფრო მეტი დრო უნდა დაუთმონ ოკუპირებულ ტერიტორიებსა და გამყოფი ხაზების გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობის ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემების მოგვარებას.



Conclusions and Recommendations

The right to education is guaranteed to all citizens by the Constitution of Georgia. The proposed report of our research discusses the access to quality education for Georgian population living along the dividing lines with occupied Abkhazia and South Ossetia/Tskhinvali region as well as Georgians living on the occupied territories. Significant portion of this population are internally displaced persons (IDPs). The report is mainly based on analysis of focus groups of teachers, parents and students from high schools. In addition, the report analyses the existing reports, laws and statistics.

Most material for the research was collected through focus groups. Discussions were moderated directly by the members of the Synergy Network. Holding discussions in territories not under the control of the Georgian government, such as Gali and Akhlagori, contained high risks, however, despite these restrictions we managed to obtain some important information. Discussions were held mainly in November 2014 and encompassed three groups: teachers, parents and high school students. In total 13 discussions and 7 interviews were held. In addition, 4 expert interviews were held with representatives of different governmental structures and NGOs.

Our research and interviews have showed once again the dire conditions of the Georgians living in occupied territories. In addition to physical insecurity and social hardships, they face problems in preserving their language and identity, particularly in the region of Gali. The quality of education accessible on these territories is unsatisfactory and the population does not have the opportunity to receive education in their native language. The Government of Georgia can carry out a more active policy to support the Georgian population in preserving the Georgian language and the connection to Georgia.

The research proved that Georgia does not have a unified and consistent vision or policy for supporting Georgian language education in occupied territories as well as in the bordering areas. While the issues of these regions are reflected in different documents and laws there is no dedicated policy document which would clearly express the state's approach and objectives, comprehensively analyse existing problems and outline ways of addressing them.

Therefore, our first and foremost recommendation to the government is to start developing a strategic vision for ensuring access to education for population living in occupied and administrative borderline territories. It is important for this process to be participatory and inclusive of both local NGO sector as well as international donors.

Our research has showed specific needs in this regard and the population has recommended ways to the government to address those needs. Based on the discussions and interviews held, we have developed the following recommendations:

- Within the format of Geneva negotiations, the Government of Georgia should raise the issue of insuring free movement of students and teachers from the occupied territories. One of the important steps in this direction would be the issuance of a "student card" for all school students living on the territory of Abkhazia.
- Within the format of Geneva negotiations the Government of Georgia should raise the issue of ensuring provision of basic education in the native language on the occupied territories.
- To support improving the quality of basic education, the Government of Georgia is already sending textbooks to the occupied territories. Given the serious shortcomings that have been revealed, to avoid further threats to the already complicated learning process, it is critical that the government ensures timely provision of books to the Georgian speaking students.
- Government of Georgia should ensure creation of conditions for population/students living in Abkhazia and South Ossetia/Tskhinvali Region so that they can learn Georgian language on the territory of Georgia. This could mean creation of regional training centres in the borderline areas, where students from occupied territories could be offered Georgian language programme free of charge and the preparatory courses for the Unified National Examination in specific subjects, as well as in general skills test.
- In addition to courses, it will be important to provide this population with housing for the duration of these

preparatory courses, to make the courses truly affordable and to ensure the security of the students.

- Similarly, the Government of Georgia should ensure development of the training model for teachers living and working in Abkhazia and South Ossetia. As teachers have pointed out, the training courses lasting several days are insufficient for them to be able to teach the Georgian education programmes in high quality to the students living on the occupied territories. Therefore, creation of “Teachers' Houses” or similar centres in medium term period could be the most effective way to help preserve the Georgian language and deliver quality education to the Georgians living in the Abkhazia and South Ossetia.
- Also, given that the Georgian language is not properly taught in occupied territories, the government could offer residents of Abkhazia programmes that are similar to the 4+1 model available for ethnic minority students who . This would greatly benefit students, who despite huge barriers, still manage to pass national exams but due to the insufficient knowledge of the Georgian language continue to encounter difficulties in the studying process.
- Georgian universities do not offer student housing. Because of this students of all categories have problems of affordable housing. Students from occupied territories encounter major barriers as their families find it difficult to provide financial support to them and often cannot afford housing. Therefore it would be greatly beneficial if the government could offer student residence and stipend to particularly vulnerable students, including those coming from occupied and administrative borderline territories.
- The Government should ensure creation of the register of students coming from occupied and along the dividing lines territories. This is necessary for making the targeted government programmes more systematic.
- It will be important for Georgia's National Centre for Educational Quality Enhancement to start provision of distance electronic services and establish regional branches of this Legal Entity of Public Law in cities of Zugdidi and Gori. This would make is possible to certify and recognize education received in Abkhazia and South Ossetia/Tskhinvali region and provide all

other services the centre has in Tbilisi. This would make things easier for the population living in Abkhazia and South Ossetia/Tskhinvali region and along the dividing lines in these regions.

- Given that the quality of accessible education is low in occupied territories, the lack of informal education opportunities creates further problems for local students. Active involvement of international organisations on this issue could be particularly important and effective. The Government of Georgia will have less opportunity in this regard. But if the free and safe movement of students is ensured, access to informal and peace education programmes on the Georgian territory can be offered as well. Such programmes could be particularly useful for restoring relations and trust between the populations of Georgia and the occupied territories.
- The Government of Georgia should take more active measures so that students from Abkhazia and South Ossetia and from the territories along the dividing lines are involved in the exchange programmes and special preparatory courses.
- To solve the problems of availability of quality education to citizens living on territories along the dividing lines and occupied territories, it is necessary to have close cooperation amongst different ministries. It will also be important to establish an inter-agency coordination body and move the existing vertical structure into the horizontal one.
- Ministry of Education and Science, as well as the Ministry for Reconciliation and Civic Equality, Ministry of Refugees and Settlements, Ministry of Regional Development and Infrastructure, Ministry of Internal Affairs, Government of the Autonomous Republic of Abkhazia, temporary administration of South Ossetia, Offices of State governors of Shida Kartli and Samegrelo-Upper Svaneti should dedicate more time to solving the problems of access to quality education for the population living on occupied territories and along the dividing lines.